„თბილისი-ბათუმის“ მაგისტრალის სარკინიგზო ხაზის ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის“ მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, ზესტაფონი-ხარაგაულის მონაკვეთის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ცვლილება, კერძოდ მექანიკური შეცდომის/ხარვეზის (SHAPE FILE-ების) გასწორება/დაზუსტება

Georgian Railway
EST. 1872

სარჩევი

1. შესავალი 4
1.1 ზოგადი მიმოხილვა 4
1.2 დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი 5
2. მოკლე ინფორმაცია საქმიანობის საქმიანობის შესახებ 7
2.1 პროექტში შეტანილი ცვლილებების აღწერა 7
3. პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებები 10
3.1 შესავალი 10
3.2 მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში, უსიამოვნო სუნის გავრცელება 10
3.3 ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება 11
3.4 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე 11
3.5 ჰიდროლოგიური რისკები და ზემოქმედება წყლის გარემოზე 11
3.6 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე 11
3.7 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე 11
3.8 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე 12
3.9 ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკი 12
3.10 შესაძლო ვიზუალურ ლანდშაფტური ცვლილება 13
3.11 სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე პოტენციური ზემოქმედება 13
3.12 ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები 13
3.13 ზემოქმედება სატრანსპორტო პირობებსა და არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურაზე 14
3.14 საქმიანობის მასშტაბი 14
3.15 არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების რისკები 14
3.16 ბუნებრივი რესურსების გამოყენება 14
3.17 საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები 14
3.18 საქმიანობის თავსებადობა ჭარბტენიან ტერიტორიასთან 15
3.19 საქმიანობის თავსებადობა შავი ზღვის სანაპირო ზოლთან 15
3.20 საქმიანობის თავსებადობა ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან 16
3.21 საქმიანობის თავსებადობა მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან 16

3.22 საქმიანობის თავსებადობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან) 16
3.23 საქმიანობის თავსებადობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან 16
3.24 ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება 17
4. ძირითადი დასკვნები 18

1. შესავალი

1.1 ზოგადი მიმოხილვა

სს „საქართველოს რკინიგზის“ თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში განხორციელდა ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის მონაკვეთის მოდერნიზაციის სამუშაოები. პროექტი შესრულდა სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს 2023 წლის 15 დეკემბრის №722/ს და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების საფუძველზე, უახლოეს მომავალში დაგეგმილია აღნიშნულის ექსპლუატაციაში მიღება.

წინამდებარე სკრინინგის ანგარიში წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით - სს „საქართველოს რკინიგზას“ „თბილისი-ბათუმის“ მაგისტრალის სარკინიგზო ხაზის „ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის“ მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, ზესტაფონ ხარაგაულის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება)“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშს.

სკრინინგის მომზადების ერთადერთი საფუძველი გახდა №2-192 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების დასრულებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაშვებული მექანიკური სახის შეცდომა, კერძოდ, სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ 2019 წლის 5 მარტის №3425 წერილით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი სკოპინგის და გზშ ანგარიშების დანართად გაგზავნილი არასრულყოფილი ელექტრონული (SHP) ფაილები, მექანიკური ხარვეზს წარმოადგენდა საპროექტო არეალის SHP ფაილის სტრუქტურა, ნაცვლად პოლიგონალური SHP ფაილებისა, გარკვეულ მონაკვეთებზე სამინისტროში გაგზავნილი იქნა ხაზოვანი SHP ფაილები, მიუხედავად ამისა, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარდგენილი გზშ ანგარიში მოიცავდა მთლიანი საპროექტო ბუფერის გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

საქმიანობის განმახორციელებლის თაობაზე ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

საქმიანობის განმხორციელებელი	**სს „საქართველოს რკინიგზა“**
იურიდიული მისამართი	ქ.თბილისი, ჩუღურეთის რ-ნი, თამარ მეფის გამზ.№15
საქმიანობის განხორციელების ადგილი	ზესტაფონისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების ტერიტორია
საქმიანობის სახე	ექსპლუატაციის პირობების ცვლილება მექანიკური ხარვეზის (SHP File-ების) გასწორება
სს „საქართველოს რკინიგზა“-ს საკონტაქტო მონაცემები:	
საიდენტიფიკაციო კოდი და რეგისტრაციის ნომერი	202886010 03/4-965; 21/12/1998
ელექტრონული ფოსტა	Nutsa.kiknadze@railway.ge
გენერალური დირექტორი	ლაშა აბაშიძე
საკონტაქტო პირი და ტელეფონი	ნუცა კიკნაძე, 598242414

1.2 დოკუმენტის მომზადების საკანონმდებლო საფუძველი

წინამდებარე გარემოსდაცვითი სკრინინგის ანგარიში მომზადებულია საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ საფუძველზე, კერძოდ, კოდექსის მე-7 მუხლის 2[1] პუნქტის მიხედვით „საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია სააგენტოს შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე წარუდგინოს ექსპლუატაციის პირობის ცვლილების შესახებ სკრინინგის განცხადება და სააგენტოსგან მიიღოს შესაბამისი სკრინინგის გადაწყვეტილება.“ კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს:

მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ;

- ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების თაობაზე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (SHP-ფაილებთან ერთად), აგრეთვა ამ მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე;
- ინფორმაციას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების თაოაბზე;
- საქმიანობის მასშტაბი;
- არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;
- ბუნებრივი რესურსების (წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;
- ნარჩენების წარმოქმნა;
- გარემოს დაბინძურება და ხმაური;
- საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;
- დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა, მათ შორის:
- ჭარბტენიან ტერიტორიასთან;
- შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;
- ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებული საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;
- დაცულ ტერიტორიასთან;
- დასახლებულ ტერიტორიასთან;
- კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტთან;
- საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან);
- საქმიანობის შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედება;
- ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;
- ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

სკრინინგის განცხადების რესგიტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“ შესაბამისი კრიტერიუმების საფუძველზე მიიღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა საქმიანობა გზშ-ს პროცედურას.

წინამდებარე საქმიანობა ხვდება, საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II თავის, მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, „ექსპლუატაციის პირობის ცვლილება ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მომზადებულია წინამდებარე გარემოსდაცვითი სკრინინგის დოკუმენტი, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით. აღნიშნული დოკუმენტი სრულ თანხვედრაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

2. მოკლე ინფორმაცია საქმიანობის საქმიანობის შესახებ

2.1 პროექტში შეტანილი ცვლილებების აღწერა

წინამდებარე სკრინინგის ანგარიში წარმოადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით - სს „საქართველოს რკინიგზას“ „თბილისი-ბათუმის“ მაგისტრალის სარკინიგზო ხაზის „ხაშური-ხარაგაული-ზესტაფონის“ მოდერნიზაციის პროექტის ფარგლებში, ზესტაფონ ხარაგაულის მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე (ექსპლუატაციის პირობების ცვლილება)“ გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის ანგარიშს.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილ იქნა თბილისი-მახინჯაურის მთავარი სარკინიგზო მაგისტრალის (ზესტაფონი-ხარაგაულს შორის არსებული მონაკვეთის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტში შეტანილ ცვლილებებზე) მოდერნიზაციისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც სამინისტრომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და წარდგენილი დოკუმენტაციის განხილვა.

ხსენებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისი გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის თანახმად, საპროექტო უბანი პირობითად დაყოფილი იყო სამ მონაკვეთად. საპროექტო დერეფანი მოიცავს ზესტაფონისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებს, კერძოდ, საპროექტო დერეფანი იწყება ქ.ზესტაფონის აღმოსავლეთი საზღვრიდან და მთავრდება ქ.ხარაგაულის ტერიტორიაზე.

საპროექტო ცვლილებების პირველი უბანი იწყება ქ.ზესტაფონის აღმოსავლეთით (X-339354; Y-4663198) და გრძელდება დაბა შორაპანთან მდ.ყვირილაზე არსებული ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე (X-341256; Y-4662292), რომლის სიგრძე დაახლოებით შეადგენს 2.4 კმ-ს. ფერდობის ზედა ნიშნულებზე სარკინიგზო მაგისტრალი პარალელურად მიუყვება ზესტაფონი-საჩხერის სარკინიგზო ხაზს. ამავე გზშ ანგარიშის მიხედვით, მონაკვეთის ცვლილება გულისხმობდა რამდენიმე წერტილში ახალი ხაზის 2-3 მ-ით გადაწევას ზედა ფერდის მხარეს, რისთვისაც გათვალისწინებული იყო ფერდობებზე მცირე ჭრილების გაკეთება. სარკინიგზო დერეფანში არ არის მდინარის ან ბუნებრივი ხევების გადაკვეთები, შესაბამისად არ მოწყობილა სახიდე გადასასვლელები. განხილულ მონაკვეთზე შეიცვალა არსებული კულვერტები და ჩანაცვლდა ახლით (სულ 4 ერთეული). ამავე დერეფანში მდ.ყვირილას სანაპიროს სიახლოვეს 2 მონაკვეთზე საინჟინრო-გეოლოგიური პირობების გაუმჯობესებით მიზნით მოხდა ფერდის გამაგრება. პირველი კედლის კოორდინატებია X-340407; Y-4663124 (დაახლოებით 33 მ), ხოლო მეორე - X-340735; Y-4662851 (დაახლოებით 110 მ). სარეკონსტრუქციო სარკინიგზო მაგისტრალის მეორე მონაკვეთი იწყებეა დაბა შორაპნის

აღმოსავლეთ საზღვრიდან, რომლის საწყისი და ბოლო წერილების მიახლოებითი კოორდინატებია X-341811, Y-4662128 და X-344560; Y-4662075. მეორე მონაკვეთის საერთო სიგრძეა დაახლოებით 2.6 კმ. მსგავსად პირველი უბნისა, არც ამ მონაკვეთზე მომხდარა გვირაბების ან/და ხიდების მშენებლობა. შეიცვალა და გაუმჯობესა კულვერტების მდგომარეობა. გეოდინამიკური პროცესების გააქტიურების პრევენციის მიზნით მოეწყო ორი საყრდენი კედელი 290 მ და 70 მ სიგრძით. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, ძირითადი სარეკონსტრუქციო სამუშაოები დაგეგმილი იყო მე-3 უბნის დერეფანში, რომელიც იწყება სოფ.წევას ტერიტორიაზე (X-345467. Y-4661774) და მთავრდება დაბა ხარაგაულის ტერიტორიაზე (X-351499, Y-4653074). მითითებულ უბანზე სარკინიგზო მაგისტრალის სიგრძემ შეადგინა 11,5-12 კმ. ამ მონაკვეთზე ცვლილებები განაპირობა გვირაბის პორტალების ადგილმდებარეობისა და მრუდების ცვლილების საჭიროებამ. მოეწყო 18 ერთეული კულვერტი, სამი ახალი ხიდი სიგრძით 44,73 მ, 58.64 მ და 60.05 მ. აღნიშნული გადაწყვეტილება მიღებულ იქნა დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგებიდან გამომდინარე. ამავე პროექტის მიხედვით შეიცვალა გვირაბები, კერძოდ გვირაბი (ნუმერაციით №10) 940 მ-ის ნაცვლად, გრძივი მეტრი გახდა 975 მ. გვირაბი (ნუმერაციით №11) ნაცვლად 830 მ-ისა, გაიზარდა 880 მ-მდე. გვირაბი (ნუმერაციით №12) 1040 მ-ის ნაცვლად, გახდა 1095 მ.

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, მიმდინარეობს სათვალთვალო კამარების, მაფრთხილებელი და საინფორმაციო ნიშნების განთავსება. წინამდება სკრინინგის ანგარიში არ გულისხმობს №2-192 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოების ცვლილებას ან/და დამატებით რაიმე სახის სამუშაოების წარმოებას, <u>სკრინინგის მომზადების საფუძველი გახდა დასრულებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაშვებული მექანიკური სახის შეცდომა, კერძოდ, სს „საქართველოს რკინიგზის“ მიერ 2019 წლის 5 მარტის №3425 წერილით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარდგენილი სკოპინგის ანგარიშის დანართად გაგზავნილი არასრულყოფილი ელექტრონული (SHP) ფაილები, მექანიკური ხარვეზს წარმოადგენდა საპროექტო არეალის SHP ფაილის სტრუქტურა, ნაცვლად პოლიგონალური SHP ფაილებისა, გარკვეულ მონაკვეთებზე სამინისტროში გაგზავნილი იქნა ხაზოვანი SHP ფაილები, მიუხედავად ამისა, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარდგენილი გზშ ანგარიში მოიცავდა მთლიანი საპროექტო ბუფერის გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.</u> წინამდებარე სკრინინგის ფარგლებში დაზუსტებული შეიპ ფაილების, შესაბამისად, სარკინიგზო ბუფერის ფართობია - 482864 კვ.მ.

აღნიშნულის ვიზუალიზაციისთვის მომზადებული აერო ფოტო მოცემულია ქვემოთ №2.1.1 ფოტოზე.

ფოტო №2.1.1 შეიპ ფაილების ვიზუალიზაცია



3. პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედებები

3.1 შესავალი

საქმიანობის სპეციფიურობიდან გამომდინარე წინამდებარე დოკუმენტში განხილულია შემდეგი სახის ზემოქმედებები/რისკები:

- მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში;
- ხმაურის და ვიბრაციის გავრცელება;
- ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე;
- ჰიდროლოგიური რისკები და ზემოქმედება წყლის გარემოზე;
- ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენასა და გრუნტის ხარისხზე;
- ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე;
- ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე;
- ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები;
- შესაძლო ვიზუალურ-ლანდშაფტური ცვლილება;
- სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე პოტენციური ზემოქმედება;
- ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე;
- ზემოქმედება ადგილობრივ სატრანსპორტო პირობებზე.

ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის გათვალისწინებით წინამდებარე დოკუმენტში შევეხებით:

- არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების რისკებს;
- ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენებას;
- საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკებს;
- დაგეგმილი საქმიანობის თავსებადობას ჭარბტენიან ტერიტორიასთან; შავი ზღვის სანაპირო ზოლთან; ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან; დაცულ ტერიტორიებთან; მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან და სხვა ობიექტთან; საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან);
- ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათს;
- ზემოქმედების შესაძლო ხარისხს და კომპლექსურობას.

ყველა ჩამოთვლილი საკითხი შეძლებისდაგვარად დეტალურად განხილულია მომდევნო პარაგრაფებში.

3.2 მავნე ნივთიერებების გაფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში, უსიამოვნო სუნის გავრცელება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და პროექტის ამ ეტაპზე რაიმე სახის ემისიებს ადგილი არ აქვს. რაც შეეხება

ექსპლუატაციის ეტაპს, სარკინიგზო მაგისტრალის ოპერირების ეტაპზე მავნე ნივთიერებათა ემისიებს ადგილი არ აქვს და ამ მხრივ განსაკუთრებული შემარბილებელი ღონისძიებების გატარების საჭიროება არ არსებობს.

3.3 ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება

წინამდებარე სკრინინგის ანგარიში არ გულისხმობს პროექტში დამატებითი სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, რაც შეეხება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებულ, სამუშაოებს, დღეისმდგომარეობით დასრულებულია და სამომავლოდ - ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების რისკების მინიმიზაციის მიზნით, ლიანდაგები მოეწყო თანამედროვე ტექნოლოგიის გამოყენებით, კერძოდ, დალაგდა ერთიანი რელსი, ხოლო გადაბმის ადგილები შედუღდა ლაზერული შედუღებით, ეს ფაქტი, მნიშვნელოვნად შეამცირებს ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების რისკებს.

3.4 ზემოქმედება გეოლოგიურ გარემოზე

გზშ-ს ეტაპზე საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების საფუძველზე გამოიკვეთა მგრძნობიარე მონაკვეთები, სადაც დაიტენფიცირდა მოსალოდნელი რისკები - ქვათაცვენა, ღვარცოფული მოვლენები და ა.შ. ყველა ასეთ უბანზე მოეწყო გამაგრებითი კედლები და კულვერტები, ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელი საშიში გეოდინამიკური პროცესების მართვა-შესაძლებლობისამებრ პრევენციის მიზნით, მოხდება ტერიტორიის მონიტორინგი და საჭიროებისამებრ დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დასახვა-განხორციელება.

წინამდებარე სკრინინგის ანგარიშით არ იგეგმება დამატებითი სამუშაოების განხორციელება, შესაბამისად, გეოლოგიურ გარემოზე დამატებით ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

3.5 ჰიდროლოგიური რისკები და ზემოქმედება წყლის გარემოზე

კომპანიას სამშენებლო სამუშაოების წარმოების პროცესში გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის თანახმად, ევალებოდა ჰიდროლოგიური მონიტორინგის წარმოება საპროექტო არეალში არსებულ მდინარეებთან მიმართებაში, დღეისმდგომარეობით სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და აღარ იგეგმება მდინარეებზე ზემოქმედება.

3.6 ზემოქმედება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში არ ითვალისწინებს დამატებით რაიმე სახის სამუშაოების შესრულებას, შესაბამისად, ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ან/და გრუნტზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

3.7 ზემოქმედება ბიოლოგიურ გარემოზე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები

დასრულებულია, წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში არ ითვალისწინებს დამატებით რაიმე სახის სამუშაოების შესრულებას, შესაბამისად, ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედებას ადგილი არ ექნება.

3.8 ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებულ მონაკვეთზე/დერეფანში სენსიტიური ჰაბიტატები არ გამოვლენილა. ზესტაფონი-ხარაგაულის მონაკვეთის დერეფნის უახლოესი დაცული ტერიტორიაა ზურმუხტის ქსელის კანდიდატი უბანი „სურამი 3“ (GE0000050), რომლის საზღვრდან მინიმალური დაცილება შეადგენს 2.6 კმ-ს. გამომდინარე აღნიშნულიდან დაცულ ტერიტორიებზე ზემოქმედების რისკი არ არსებობს.

სამშენებლო ბუფერისა და ზურმუხტის ქსელის კანდიდატი უბნის „სურამი 3“-ის ურთიერთგანლაგების სქემა მოცემულია სურათზე 3.8.1

სურათი 3.8.1 პროექტის დერეფანი და ზურმუხტის ქსელის კანდიდატი უბნის „სურამი 3“-ის ურთიერთგანლაგების სქემა

3.9 ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში არ ითვალისწინებს დამატებით რაიმე სახის სამუშაოების შესრულებას, შესაბამისად, ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკი არ არსებობს.

3.10 შესაძლო ვიზუალურ ლანდშაფტური ცვლილება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში არ ითვალისწინებს დამატებით რაიმე სახის სამუშაოების შესრულებას, შესაბამისად, ვიზუალურ-ლანდშაფტურ გარემოზე ზემოქმედების რისკები არ არსებობს, რაც შეეხება სამომავლო ექსპლუატაციის ფაზას - ვიზუალურ-ლანდშაფტური ფონის მნიშვნელოვანი ცვლილება მოსალოდნელი არ არის, კერძოდ, ოპერირების ეტაპზე მოსალოდნელი ზემოქმედება არ იქნება არსებული სარკინიგზო მაგისტრალის ექსპლუატაციისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული, ამასთან, 3 მონაკვეთზე მოწყობილი გვირაბები ამცირებს ვიზუალურ რეცეპტორებზე ზემოქმედების რისკებს. თუმცა მიუხედავად აღნიშნულისა, პროექტის ფარგლებში განხორციელდა მუდმივი შენობა-ნაგებობების ფერისა და დიზაინის გონივრულად შერჩევა და ექსპლუატაციის ეტაპზე იგეგმება ტერიტორიების შესაძლებლობისამებრ (უსაფრთხოების ნორმებიდან გამომდინარე) გამწვანება, ქარსაფარი ზოლების მოწყობა.

3.11 სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე პოტენციური ზემოქმედება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში არ ითვალისწინებს დამატებით რაიმე სახის სამუშაოების შესრულებას, შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე პოტენციური ზემოქმედებაც არ არსებობს, თუმცაღა ზოგადად სარკინიგზო მაგისტრალის მოდერნიზაციის პროექტის სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე ზემოქმედება შესაძლებელია შეფასდეს როგორც დადებითი, რამეთუ მშენებლობის ეტაპზე პროექტი დასაქმებული იყო 300-400 ადამიანი, რომელთა 90 % ადგილობრივი მოსახლეობის სახით იყო წარმოდგენილი. რაც შეეხება ექსპლუატაციის ეტაპს, სარკინიგზო ტრანსპორტი საქართველოში სრულად ელექტროფიცირებულია, რაც თავის მხრივ ზრდის კლიმატის ცვლილებით მოსალოდნელი რისკების მინიმიზაციას, ამცირებს ავტოსატრანსპორტო საშუალებების გამოყენებას და ასევე ემსახურება ქვეყნის ტურისტულად განვითარებას.

3.12 ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში არ ითვალისწინებს დამატებით რაიმე სახის სამუშაოების შესრულებას, შესაბამისად, ადამიანების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები არ არსებობს.

სატრანსპორტო მაგისტრალის სამომავლო ექსპლუატაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა სატრანსპორტო შემთხვევების რისკებს. მოხდება შესაბამისი საგზაო ნიშნების დამაგრება და პერიოდულად, საჭიროებისამებრ განახლება.

3.13 ზემოქმედება სატრანსპორტო პირობებსა და არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურაზე

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში არ ითვალისწინებს დამატებით რაიმე სახის სამუშაოების შესრულებას, შესაბამისად, სატრანსპორტო პირობებსა ან/და არსებულ საგზაო ინფრასტრუქტურაზე ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

3.14 საქმიანობის მასშტაბი

როგორც ზედა პარაგრაფებში აღინიშნა, წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში ემსახურება მექანიკური შეცდომის გამოსწორებას/დაზუსტებას, აქედან გამომდინარე საქმიანობის მასშტაბის განხილვა არარელევანტურია, რამეთუ არ იგეგმება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღმა რაიმე მოქმედებების განხორციელება, ხოლო არსებული გადაწყვეტილების ფარგლებში მშენებლობა დასრულებულია.

3.15 არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების რისკები

როგორც ზედა პარაგრაფებში აღინიშნა, წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში ემსახურება მექანიკური შეცდომის გამოსწორებას/დაზუსტებას, აქედან გამომდინარე საქმიანობის კუმულაციური ზემოქმედების რისკების განხილვა არარელევანტურია, რამეთუ არ იგეგმება საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღმა რაიმე მოქმედებების განხორციელება, ხოლო არსებული გადაწყვეტილების ფარგლებში მშენებლობა დასრულებულია.

3.16 ბუნებრივი რესურსების გამოყენება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებული სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია, წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში არ ითვალისწინებს დამატებით რაიმე სახის სამუშაოების შესრულებას, შესაბამისად, ბუნებრივი რესურსების გამოყენება არ იქნება საჭირო.

3.17 საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები

სს „საქართველოს რკინიგზა“-ს საქმიანობის განხორციელების პროცესში, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანების მე-3 პუნქტით დაევალა გზშ-ს დანართად წარდგენილი ავარიული სიტუაციებზე რეაგირების გეგმის შესრულება. წინამდებარე სანებართვო პირობა ძალაშია, ხოლო რაც შეეხება წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშს - მისი მიზნობრიობიდან გამომდინარე დამატებითი ავარიების ან/და კატასტროფების რისკების განხილვა არარელევანტურია.

3.18 საქმიანობის თავსებადობა ჭარბტენიან ტერიტორიასთან

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებული და წინამდებარე სკრინინგის ანგარიშის წარმოდგენილი არეალი არ მდებარეობს ჭარბტენიან ტერიტორიების სიახლოვეს. შესაბამისად, ამ ქვეთავის ქვეშ ზემოქმედების შეფასება არარელევანტურია.

3.19 საქმიანობის თავსებადობა შავი ზღვის სანაპირო ზოლთან

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებული არეალი შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან დაშორებულია 108 კმ-ით (იხ.სქემატური ნახაზი №3.19.1). შესაბამისად, ამ ქვეთავის ქვეშ ზემოქმედების შეფასება არარელევანტურია.

სქემატური ნახაზი №3.19.1 დაშორებები



3.20 საქმიანობის თავსებადობა ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებული და წინამდებარე სკრინინგის ანგარიშის წარმოდგენილი არეალი არ ხვდება სატყეო ფონდის მიწებზე, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და თუ მხედველობაში მივიღებთ წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშის მიზნობრიობას, ამ ქვეთავის ქვეშ საქმიანობის თავსებადობის შეფასება ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიასთან არარელევანტურია.

3.21 საქმიანობის თავსებადობა მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიასთან

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებული და წინამდებარე სკრინინგის ანგარიშის წარმოდგენილი არეალი სრულად გამოსყიდულია კერძო ან/და იურიდიული პირებისგან და წარმოადგენს სს „საქართველოს რკინიგზის“ (შპს „საქართველოს რკინიგზის“) საკუთრებას, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და თუ მხედველობაში მივიღებთ წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშის მიზნობრიობას, ამ ქვეთავის ქვეშ საქმიანობის თავსებადობის შეფასება მჭიდროდ დასახელბულ ტერიტორიასთან - არარელევანტურია.

3.22 საქმიანობის თავსებადობა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან)

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებული და წინამდებარე სკრინინგის ანგარიშის წარმოდგენილი არეალი არ ხვდება სატყეო ფონდის მიწებზე, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია და თუ მხედველობაში მივიღებთ წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშის მიზნობრიობას, ამ ქვეთავის ქვეშ საქმიანობის თავსებადობის შეფასება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან) - არარელევანტურია.

3.23 საქმიანობის თავსებადობა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთან

გზშ-ას ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, დერეფანში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების კვლევა ჩატარებულია და საკითხი შეთანხმებულია სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტო“-სთან, შეთანხმების წერილი წარმოდგენილი სურათში №3.23.1.

სურათი №3.23.1. სსიპ „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს შეთანხმების წერილი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო
Georgian National Agency for Cultural Heritage Preservation

KA990122518020519

№17/3967 19 / სექტემბერი / 2019 წ.

სს „საქართველოს რკინიგზის“
კორპორატიული მართვის დეპარტამენტის
უფროსს
ქალბატონ ნინო ჯორბენაძეს
მის:ქ.თბილისი, თამარ მეფის გამზ #15
ტელ: (+995 32) 219-95-67; 219-91-50

ქალბატონო ნინო,

თქვენი აგ 09 აგვისტოს ნერილის № 4461 პასუხად, რომელიც ეხება თბილისი-მახინჯაურის სარკინიგზო მაგისტრალის, ხარაგაული-ზესტაფონი; მოლითი-ქვიშხეთის მონაკვეთის მოდერნიზაციის პროექტს და მის მიმდებარედ არქეოლოგიური ძეგლების დადგენის მიზნით, ჩატარებულ ზედაპირულ არქეოლოგიურ დაზვერვებს, გაცნობებთ, რომ სააგენტოში შემოსული ანგარიშის მიხედვით, ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერების შედეგად, საკვლევი მიწის ფართობზე და მის მიმდებარედ დაფიქსირდა 25 ობიექტი, მაგრამ თქვენი უწყების მიერ ჩასატარებელი სამუშაოები მათის საფრთხის შემცველი ზრცერთი არ არის.

შესაბამისად გეძლევათ დადებითი დასკვნა დაგეგმილი სამუშაოების ჩატარების თაობაზე.

აღსანიშნავია, რომ სამუშაოთა მიმდინარეობის დროს არქეოლოგიური ობიექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, უნდა შეწყდეს სამუშაოები და ამის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს (ამ ეტაპზე-სააგენტოს).

პატივისცემით,

გენერალური დირექტორის მოადგილე

ხელმოწერილია/
მტავდასმულია
ელექტრონულად

დავით ლომიტაშვილი

3.24 ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებული არეალი შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან დაშორებულია 88 კმ-ით (იხ.სქემატური ნახაზი №3.19.1). შესაბამისად, ამ ქვეთავის ქვეშ ზემოქმედების შეფასება არარელევანტურია.

4. ძირითადი დასკვნები

- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 28 თებერვლის №2-192 ბრძანებით გათვალისწინებული არეალში სამშენებლო სამუშაოები დასრულებულია;
- სკრინინგის პროცედურის ფარგლებში წარმოდგენილი ელექტრონული (SHAPE) ფაილებში მოცემულ არეალში მოქცეულ გარემოზე და მის კომპონენტებზე სამშენებლო და საოპერაციო საქმიანობის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება წარმოდგენილია №2-192 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გზშ ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში;
- სკრინინგის პროცედურით არ მოხდება არსებულ გარემოსდაცვით გადაწყვეტილებებში რაიმე სახის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების განხორციელება;
- მოცემული სკრინინგი გულისხმობს მექანიკური ხარვეზის გამოსწორებას, კერძოდ Shape File-ების დაზუსტებას;
- სკრინინგის დოკუმენტით არ არის მოსალოდნელი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გაცემულ საქმიანობაში ცვლილებების შეტანა ან/და რაიმე სახის ზემოქმედება გარემოსა და მის შემადგენელ კომპონენტებზე;
- საქმიანობის განხორციელების, კერძოდ სარკინიგზო ხაზის ოპერირების პროცესში სს „საქართველოს რკინიგზა“ გააგრძელებს გზშ-ს ანგარიშით გათვალისწინებული შერბილების ღონისძიებების, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების პირობებისა და შესაბამისი გარემოსდაცვითი კანონების/ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულებას.